პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

№ 6 (394) პარასკევი, 10 თებერვალი, 1950 წ. ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელმა საბჭოთა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებით დაასახელა ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, მშრომელთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი — დიდი სტალინი

## საბჭოთა ხალხის რჩეული

დღითი დღე ფართოვდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება. საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქსა და სოფელში გამართულ წინასაარჩევნო კრებებზე მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ყველაზე ღირსეული ადამიანები, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან სოციალისტური სამშობლოსი, ლენინ-სტალინის დიადი საქმისა.

საბჭოთა ადამიანებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ საყოველთაო-სახალხო კანდიდატად დიდი აღფრთოვანებითა და სიხარულით დაასახელეს მშრომელთა გენიალური ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. ხალხმა თავის პირველ კანდიდატად დაასახელა ამხანაგი სტალინი იმიტომ, რომ სტალინი ეს ლენინია დღეს. საბჭოთა ადამიანები უმადლიან დიდ სტალინს იმას, რომ მისმა გენიამ ჩვენი ქვეყანა გადააქცია მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, მოწინავე კულტურის ქვეყნად, იმას, რომ ჩვენ ბრწყინვალე გამარჯვება მოვიპოვეთ ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე, იმას, რომ მივაღწიეთ უმაგალითო წარმატებებს ომისშემდგომ მშენებლობაში და ძლევამოსილად მივდივართ წინ — კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

საარჩევნო კამპანიის პერიოდში საბჭოთა ადამიანები აჯამებენ ჩვენი სამშობლოს გამარჯვებებს, რომლებიც მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით. წარმატებით სრულდება ომისშემდგომი ხუთწლედი, ჩვენმა სახალხო მეურნეობამ უკვე გადააჭარბა ომამდელ დონეს, საბჭოთა ადამიანების ცხოვრება დღითი დღე უკეთესი, უფრო მდიდარი და ბედნიერი ხდება.

წინასაარჩევნო კრებებზე საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად დაასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დიდი სტალინის თანამებრძოლები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები.

დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენის მოწინავე წარმომადგენლები — სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები, კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო მოღვაწენი.

მშრომელთა წარმომადგენლების წინასაარჩევნო საოლქო თათბირებმა, რომლებიც ამ დღეებში ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქსა და რაიონში შედგა, უდიდესი აღფრთოვანებით დაუჭირეს მხარი მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ხალხთა ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის დიდი სტალინის დასახელებას. წინასაარჩევნო საოლქო თათბირებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი დეპუტატობის კანდიდატებად პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და ხელოვნების მოწინავე წარმომადგენლების დასახელებას.

საბჭოთა ხალხი თავისი სახალხო პარლამენტის არჩევნებისაკენ მიდის მტკიცედ დარაზმული ბოლშევიკური პარტიის გარშემო, თავისი დიდი ბელადისა და მასწავლებლის მშობლიური სტალინის გარშემო.

## მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები

მშრომელთა უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა ჩვენს ქვეყანაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენება. ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც 4 თებერვალს დაიწყო, ყველგან უდიდესი აქტივობით ჩატარდა. ეს კრებები წარმოადგენდნენ საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მშობლიური ბელადის დიდი სტალინის გარშემო მისი საბრძოლო დარაზმულობის ჭეშმარიტ დემონსტრაციას.

### დიდი სტალინი — პირველი საყოველთაო-სახალხო კანდიდატი

მთელმა საბჭოთა ხალხმა უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ჩვენი სამშობლოს ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დიდი აღმავლობით ჩატარდა წინასაარჩევნო კრებები ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქში. ელექტროქარხნის, შჩერბაკოვის სახელობის კომბინატის, ლენინის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის, მიქოიანის სახელობის კვების კომბინატის, საანგარიშო-საანალიზო მანქანების ქარხნის და ოლქის სხვა საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო საერთო კრებებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელეს ხალხთა საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოების, მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო ხალხმრავალ კრებებზე ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ბაქოში, ტაშკენტში, სტალინაბადში, რიგაში, ვილნიუსში, კიშინიოვში, აშხაბადში, პეტროზავოდსკსა და სხვა ქალაქებში მშრომელებმა უდიდესი აღფრთოვანებით ერთსულოვნად წამოაყენეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

* * *

წინასაარჩევნო კრებები ჩატარდა ქ. მოსკოვის მოლოტოვის, შჩერბაკოვის, ლენინგრადის, კალინინისა და სხვა საარჩევნო ოლქებში.

ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მუშაკთა (მოლოტოვის საარჩევნო ოლქი) წინასაარჩევნო კრებამ დაზგა „750"-ის უფროსი ოსტატის ამხ. ი. ტურტანოვის წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი.**

ლენინგრადის საარჩევნო ოლქში ლენინის ორდენოსანი მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე წარჩინებულმა ხარატმა ვ. ლავრენოვმა შეიტანა წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი **გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი.** დამსწრეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას.

კალინინის საარჩევნო ოლქში ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის პირველი სახელმწიფო საკისართა ქარხნის კოლექტივის საერთო კრებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად წამოაყენა **ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვი.**

ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინერო წითელდროშოვანი აკადემიის (მოსკოვის საქალაქო საარჩევნო ოლქი) პირადმა შემადგენლობამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას საბჭოთა კავშირის მარშალი **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი.**

წინასაარჩევნო კრებებზე ამომრჩევლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, ამხანაგი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები.

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოაყენა დიდი სტალინის ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია.**

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება შედგა მინსკის სატრაქტორო ქარხანაში. ტრაქტორმშენებლებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთხმად დაასახელეს **კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვი.**

ტაშკენტის ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი.**

ერევნის კარბიდის ქარხნის მუშებმა, ინჟინრებმა და მოსამსახურეებმა ერთხმად გადაწყვიტეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებულ იქნას **ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი.**

აშხაბადის სართავ-საქსოვი ფაბრიკის ფეიქრებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს **ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი.**

ურალის ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენეს **ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკი.**

ივანოვის მელანჟის კომბინატის კოლექტივის საერთო კრებამ გადაწყვიტა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენოს **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი.**

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად წამოყენებულთა შორის არიან ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ს. ი. ვავილოვი,** მოსკოვის ქარხანა „კალიბრის" უფროსი ოსტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი **ნ. ა. როსიისკი,** ხუთასოვან მემანქანეთა მოძრაობის ინიციატორი კურნაგის დეპოს მემანქანე სოციალისტური შრომის გმირი **ი. პ. ბლინოვი,** სტალინის ოლქის სტარობეშევის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი სოციალისტური შრომის გმირი **პ. ნ. ანგელინა,** მოსკოვის კომბინატ „ტრიოხგორნაია მანუფაქტურის" მრავალდაზგიანი მქსოველი **ა. მ. შტიროვა** და სხვები.

### ქართველი ხალხის კანდიდატები

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი სტალინისადმი საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო ერთგულების, მათი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად იქცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრებები, რომლებიც ჩატარდა საბჭოთა საქართველოს ყველა კუთხეში.

ქართველმა ხალხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით დაასახელა ლენინის უკვდავი საქმის დიდი გამგრძელებელი, ხალხთა საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი.

#### ბელადის სახელობის ქარხანაში

1950 წლის 4 თებერვალი კიდევ ერთ სამახსოვრო ფურცლად შევა რევოლუციური დიდებით მოსილი თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ისტორიაში. ამ დღეს ორთქლმავალთა ამწყობ საამქროში წინასაარჩევნო კრებაზე შეიკრიბნენ ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად.

პირველი სიტყვა აიღო ქარხნის უფროსმა ამხ. დ. მამაცაშვილმა. მან ილაპარაკა იმ პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე, რითაც ჩვენი ქვეყანა ეგებება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

— ჩვენი ქარხნის ისტორია, — სთქვა ამხ. მამაცაშვილმა, — მტკიცედაა დაკავშირებული ჩვენი მშობლიური ბელადის ამხანაგ სტალინის სახელთან. აქ, ჩვენი ქარხნის საამქროებში, საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობდა მუშათა პირველ მარქსისტულ წრეებს. და აი დღეს, როდესაც ჩვენ გვეძლევა უდიდესი უფლება წამოვაყენოთ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გასაგზავნად დეპუტატობის კანდიდატი, მე წინადადება შემომაქვს პირველ ჩვენს კანდიდატად დავასახელოთ ჩვენი დიადი გამარჯვებების სულისჩამდგმელი, ჩვენი მშობლიური ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

დამსწრენი ამ წინადადებას შეხვდნენ მქუხარე ტაშითა და შეძახილებით: „დიდება დიდ სტალინს!", „ვაშა დიდ სტალინს!". „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას!"

ამხ. მამაცაშვილის წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი სტახანოველმა მექვაბემ მ. ბუაშვილმა, ენერგო-ძალოვანი საამქროს უფროსმა ინჟ. ნ. მიქაშავიძემ, ორთქლმავალთა საამწყობო საამქროს ზეინკალმა ა. ზადონსკიმ და სხვებმა.

წინასაარჩევნო კრებამ დიდი აღმავლობის ვითარებაში მიიღო დიდი ბელადისადმი მისასალმებელი წერილი, რომელშიც კრება თხოვს ამხანაგ ი. ბ. სტალინს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭი იყაროს თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქში.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხაშურის საელმავლო დეპოს, გარეუბნის სოფ. დიდი ლილოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და სოფლების ხალხმრავალ წინასაარჩევნო კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის პირველ კანდიდატად მშრომელებმა ერთსულოვნად დაასახელეს საბჭოთა ხალხის ყველა ისტორიული გამარჯვების შემოქმედი და სულისჩამდგმელი იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი.

წინასაარჩევნო კრებებზე რესპუბლიკის მშრომელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ერთხმად დაასახელეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ნ. კოსიგინი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, სოფ. მარტყოფის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობისა და სხვა წინასაარჩევნო კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად წამოყენებული იქნა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი **კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი.**

* * *

წინასაარჩევნო კრებებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ბ. გოგუა,** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი **მ. ი. ბარამია,** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები **ა. ე. თოფურიძე, რ. ს. შადური** და **ვ. გ. ცხოვრებაშვილი,** საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი **გ. ნ. ზამბახიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ზ. ნ. კეცხოველი, გ. მ. ბაქრაძე, ს. მ. იმხანოვი** და **კ. ს. ციმაკურიძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ი. ეგნატაშვილი,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. ს. ზოდელავა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული არიან ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები: თბილისის საორთქლმავლო დეპოს ინსტრუქტორ-მემანქანე, სოციალისტური შრომის გმირი **შ. თ. კოხრეიძე,** ტყიბულის ცნობილი მაღაროელი **შ. ე. ფურცხვანიძე,** გუდაუთის რაიონის სოფ. დურიფშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი **გ. შ. არძინბა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნ. ი. მუსხელიშვილი.** საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარე **ს. ი. ჩიქოვანი,** ოჩამჩირის რაიონის სოფ. ტამიშის დაწყებითი სკოლის გამგე **მ. ვ. გადლია,** აგრონომი **მ. ი. ტიხოევა** და საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სხვა ღირსეული წარმომადგენლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად



სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში სპორტსაზოგადოება „ტრუდმა“ ჩაატარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრება სათხილამურო სპორტში.

შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა რბენა 8 კილომეტრზე ქალთათვის და 5 კილომეტრზე მამაკაცთათვის.

ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა მასუნოვა, რომელმაც მანძილი დაფარა 16 წუთსა და 30,5 წამში. მამაკაცებს შორის გამარჯვება წილად ხვდა ავტოსარემონტო ქარხნის ფიზკულტურელს კორმუშკინს — 22:05,2.

სურათზე: მეთხილამურენი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში.

ფოტო ი. ზენკოსი.

## მეთხილამურენი უბნებში

ქუთაისი (ჩვენ: სპეც. კორ.). ფართო მოსამზადებელი მუშაობა გაიშალა ქუთაისში არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით. ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა შეადგინა მრავალი საინტერესო სპორტული ღონისძიებისა და მასობრივი შეჯიბრებების ჩატარების გეგმა. შედგა ქალაქის საუკეთესო მეთხილამურეთა გუნდი, რომელიც მომსახურებას უწევს საარჩევნო ოლქებსა და უბნებს. მეთხილამურეები მოემსახურებიან აგრეთვე ცაგერის, ამბროლაურის, ქვემო სვანეთის რაიონებს, სადაც ჩაიტანენ საარჩევნო ლიტერატურას.

ქალაქის საუკეთესო სპორტსმენების მონაწილეობით ეწყობა ფიზკულტურული გამოსვლები საარჩევნო უბნებსა და კოლმეურნეობებში.

## 25 ახალი კოლექტივი

სპორტული საზოგადოება „პიშჩევიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად ბაღო ვალდებულება ჩამოაყალიბოს 25 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანდება 500-ზე მეტი კაცი; მოამზადოს 100 ძალეული ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე და 80 ფიზორგი. მომზადებული იქნება აგრეთვე მშთ პირველი საფეხურის 50 ნიშნოსანი.

„პიშჩევიკი“ შეფობას უწევს რესპუბლიკის 7 კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს. არჩევნებისათვის მზადების დღეებში სპორტსაზოგადოება შეფობას იღებს კიდევ 10 კოლმეურნეობაზე.

## მოსწავლეთა შეჯიბრება

წაღვერის (ბორჯომის რაიონი) საშუალო სკოლის მოსწავლეები—ნორჩი ფიზკულტურელები ამ დღეებში ჩაატარებენ არჩევნებისადმი მიძღვნილ შეჯიბრებას მთიდან სწრაფდაშვებაში, სლალომში და საკუთარ ტრამპლინიდან ხტომებში.

ა. ვარდიაშვილი

წაღვერი.

## სტახანოვურ ვახტზე

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშები, ჩვენი თვალუწვდენელი საბჭოთა სამშობლოს მშრომელებთან ერთ დიად ფერხულში ჩაბმულნი, სულ ახალ-ახალ საწარმოო წარმატებებით ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. წინასაარჩევნო დღეებში მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის იბრძვიან დედაქალაქის მუშა ფიზკულტურელებიც.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშა ფიზკულტურელები, დადგნენ რა წინასაარჩევნო სტახანოვურ ვახტებზე, ხარისხიანად და ვადაზე ადრე ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს ფიზკულტურელი ლევან გოქაძე, რომელმაც 4 წელში 10 წლის საწარმოო გეგმა გაანაღდა. ფიზკულტურელმა გივი მარდალეიშვილმა ვალდებულება აიღო 12 მარტამდე შეასრულოს პირველი კვარტალის გეგმა; იგი ყოველ დღე 500 გრამ ბრინჯაოს ზოგავს.

ქარხნის ფიზკულტურული ორგანიზაცია ამ დღეებში აწყობს არჩევნებისადმი მიძღვნილ დიდ სპორტულ საღამოს. შეჯიბრებები ჩატარდება ჭადრაკში, კრივში, კლასიკურ და ქართულ ჭიდაობაში და სხვ. ქარხნის ფიზკულტურელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგიტპუნქტის მოწყობა-გაფორმებაში, უშვებენ სპეციალურ კედლის გაზეთს.

ასეთივე აღმავლობაა მაუდ-კამვოლის ფაბრიკაშიც. მუშა ფიზკულტურელები დ. სერგეევა, მ. ბარათაშვილი, ე. პასუხოვა და სხვები თავდადებულად იბრძვიან იმისათვის, რომ ყოველთვიური გეგმა 105 პროცენტით გაანაღდონ და თვეში 3 კილოგრამი ნართი დაზოგონ.

ფაბრიკის ახალგაზრდები აქტიურად ეხმარებიან საარჩევნო უბანს არჩევნებისათვის მზადებაში; გააფორმეს აგიტპუნქტი, ამოწმებენ ამომრჩეველთა სიებს, უშვებენ კედლის გაზეთებს. ფაბრიკის ფიზკულტურელები მოაწყობენ არჩევნებისადმი მიძღვნილ სპორტულ საღამოს. ჩაატარებენ 8 კილომეტრიან ქვეით ლაშქრობას და სხვ.

ი. აკოფოვი

## ხვალ მოსკოვის სტადიონზე

### მსოფლიოს პირველობა საციგურაო სპორტში ქალთა შორის

ხვალ, 11 თებერვალს, მოსკოვის „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე იწყება მსოფლიოს პირველობა საციგურაო სპორტში ქალთა შორის.

შეჯიბრების პროგრამაშია ქალთა მრავალჭიდი—რბენა 500, 1.000, 3.000 და 5.000 მეტრ დისტანციაზე.

ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის, ნორვეგიის, პოლონეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის უძლიერესი მოციგურავე ქალები.

შეჯიბრების მთავარ მსაჯად მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირმა დაამტკიცა სპორტის დამსახურებული ოსტატი ი. ფ. მელნიკოვი (მოსკოვი).

* * *

მსოფლიოს პირველობის გათამაშება საციგურაო სპორტში ტარდება მეოთხედ. პირველი ჩემპიონატი გათამაშდა 1936 წელს. მაშინ მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ამერიკელმა კლეინმა. 1937 და 1938 წლებში მსოფლიოს ჩემპიონის სახელს ატარებდა ნორვეგიელი შოუ-ნილსენი. 1939 წლის ჩემპიონატში გამარჯვებული გამოვიდა ფინელი ლეშე, რომელმაც მეორედ მოიპოვა ჩემპიონის წოდება 1947 წელს. 1948 წლის პირველობის გათამაშებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა. ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონის საპატიო წოდება წილად ხვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს მარია ისაკოვას (მოსკოვი). 1949 წელს ისაკოვამ მეორედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის დაფნის გვირგვინი.

## ჩვენი გვერდი

### როდის ექნება ზესტაფონს სასპორტო დარბაზი?

ქ. ზესტაფონის წარმოება-დაწესებულებების ნებაყოფილობით სპორტულ საზოგადოებებში გაერთიანებულია 1600-მდე ფიზკულტურელი. მაგრამ მათი უმრავლესობის წვრთნა და ვარჯიში ზამთრის პირობებში მატოვებულია ბედის ანაბარად. ქალაქს მოეპოვება ორი პატარა სასპორტო დარბაზი, რომლებშიც ერთდროულად მხოლოდ 25 კაცს შეუძლია მეცადინეობა.

ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით გასულ წელს ქალაქის ცენტრალურ ადგილას, ყოფილი ბაზრის ფართობზე უნდა აშენებულიყო ზესტაფონის ცენტრალური სასპორტო დარბაზი. საამისოდ გამოყოფილი იქნა სათანადო თანხები, შედგა ხარჯთაღრიცხვა, მშენებლობის პროექტი... მაგრამ მშენებლობა დღემდე არ დაწყებულა.

დროა ამ არანორმალურ მდგომარეობას მიაქციოს ყურადღება ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის სპორტულ ნაგებობათა განყოფილებამ.

კ. ფოცხვერაშვილი

ზესტაფონი.

### როდემდის გაგრძელდება ასე?

ეს იყო გასული წლის გაზაფხულზე. სოხუმის სახელმწიფო თეატრში გადასწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ ფრენბურთის, ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდები. ამისათვის საჭირო თანხებიც გაიცა, შედგა სიები, მაგრამ...

საზაფხულო სპორტულმა სეზონმა უმოქმედოდ ჩაიარა. ახალგაზრდები მოუთმენლად ელოდნენ სპორტული გუნდების ჩამოყალიბებას, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა და შემდეგ არავის უზრუნია დაწყებული საქმის სისრულეში მოსაყვანად.

ნ. მიქაშავიძე

სოხუმი.

## გამოქვეყნებული წერილების კვალდაკვალ

### „მარტო წრეების დაარსება არ კმარა“

### „დარბაზი მოუწყობელია“

გაზეთ „ლელოს“ 27 იანვრის ნომერში მოთავსებულ წერილში „მარტო წრეების დაარსება არ კმარა“ აღნიშნული იყო, რომ ზუგდიდის რაიონის სოფ. ჭკადუაშის 8-წლიან და სოფ. ჯიხასკარის საშუალო სკოლებში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმეს სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამავე ნომერში გამოქვეყნებულ მეორე წერილში — „დარბაზი მოუწყობელია“ — ავტორი ეხებოდა ბათუმის მე-6 საშუალო სკოლის სპორტული დარბაზის კეთილმოუწყობლობას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის ინსპექციამ მითითება მისცა აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს, ზუგდიდის რაიონის განათლების განყოფილებას და ზემოაღნიშნული სკოლების დირექტორებს, რათა არსებული ნაკლოვანებანი დროულად იქნეს აღმოფხვრილი.

## ი. გოლოვჩენკო— აბსოლუტური ჩემპიონი

### ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ციგურებში

მოსკოვი. (ჩვენი კორ). დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება საციგურაო სპორტში მამაკაცთა შორის. შეჯიბრებამ მოსკოველი მაყურებლის უდიდესი ინტერესი გამოიწვია.

მეტად მძაფრი ბრძოლით აღინიშნა მეშვიდე წყვილის ორთა ბრძოლა 500 მეტრზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის 1949 წლის აბსოლუტური ჩემპიონი ვ. პროშინი და სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. კუდრიავცევი. გამარჯვება კუდრიავცევმა, რომელმაც მანძილი გაირბინა 43,9 წამში.

ასევე მწვავედ ჩატარდა რბენა 5.000 მეტრზე ახალგაზრდა სპორტის ოსტატის ი. გოლოვჩენკოსა (ომსკი) და 18 წლის ლენინგრადელ ა. პავლოვს შორის. ფინიშის ხაზი პირველმა გადაჭრა გოლოვჩენკომ—8:37,4.

6 თებერვალს შეჯიბრების მეორე დღეს გაიმართა შეხვედრები 1.500 და 10.000 მეტრზე რბენაში. ვ. პროშინმა 2 წუთსა და 22,6 წამში დაფარა 1.500 მეტრი და მოიგო ჩემპიონის წოდება ამ დისტანციაზე.

დაიწყო რბენა 10.000 მეტრზე. კენჭის ყრის შედეგად მეოთხე წყვილში ერთმანეთს შეხვდნენ გოლოვჩენკო და პროშინი. ამ შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა თუ ვინ მოიპოვებდა აბსოლუტური ჩემპიონის წითელ მაისურს. ასეთი დაძაბული შერკინება არ ახსოვს მოსკოვის მაყურებელს... ათი წრე მოციგურავეებმა ერთად გაირბინეს, შემდეგ კი გოლოვჩენკომ სისწრაფეს უმატა და პირველმა გადასჭრა ფინიშის ხაზი.

ამრიგად, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა იური გოლოვჩენკო, რომელმაც მოაგროვა 197,566 ქულა. ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. პროშინი, მესამეზე— ა. პავლოვი.



სურათზე: ქუთაისის ვაჟთა მე-9 საშუალო სკოლის ტურისტთა სექციის წევრები ექსკურსიაზე. ტურისტთა ბაზის მეთოდისტი გ. ყალაბეგაშვილი (მარცხნივ) ექსკურსანტებს მ. ჩომახიძეს და ა. ბაბუნაშვილს უხსნის თხილამურების ხმარების წესებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი

## ფიზკულტურელები არჩევნებისათვის მზადების დღეებში

★

### წერილების მიმოხილვა

★

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ახალი მიღწევებით ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. ადგილებზე ფართოდ გაშალა მუშაობა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად, რათა საუკეთესო სპორტული მომსახურება გაუწიოს არჩევნებს. რაიონებში ტარდება შეჯიბრებები ტანვარჯიშსა და სიმძიმეების აწევაში, მეთხილამურეთა და მოკრივეთა შეხვედრები, ფიზკულტურული საღამოები... სპორტსმენები ამყარებენ არჩევნებისადმი მიძღვნილ ახალ რეკორდებს!

ამ დღეებში სიმძიმეების აწევაში აფხაზეთის ახალი რეკორდი დაამყარა ა. ბოჯგუამ, რომელმაც ორი ხელით აჰიძა 92,500 კილოგრამი. ეს რეკორდი გაიმეორა აგრეთვე სპორტსმენმა არუთინიანმაც. სოხუმში მოწყობილ სპორტულ საღამოზე იგივე სიმძიმე ბოჯგუამ აიტაცა ორივე ხელით, რითაც 250 გრამით გააუმჯობესა თავისივე შარშანდელი მიღწევა.

— ბოჯგუამ და არუთინიანმა, — გვწერს სოხუმიდან ამხ. ნ. მიქაშავიძე, — ეს რეკორდები მიუძღვნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს.

სპორტულ საღამოებზე დამსწრე მაყურებლებში დიდი წარმატებით სარგებლობდა მოკრივეთა შეხვედრაც. ასეთი საინტერესო შეჯიბრებები ჩატარდა გალში, გუდაუთში, გაგრასა და ოჩამჩირეში.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველი ამხ. მ. ჭოჭუა გვატყობინებს, — ოჩამჩირეს პირველი საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ბოჯგუა, რომელიც აფხაზეთის ასსრ არაერთგზის ჩემპიონია ძალოსნობაში, ქალაქის საარჩევნო უბნის აგიტპუნქტის საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობს. სპორტსმენი-აგიტატორი ამომრჩეველთა შორის სისტემატურად ატარებს საუბრებს. ფიზკულტურის საგნის ბევრი მასწავლებელი და მრავალი სპორტსმენი ყოველმხრივ ეხმარება საუბნო-საარჩევნო კომისიებს არჩევნებისათვის წარმატებით მზადებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ფიზკულტურელები მ. ძიაპშიპა, ლ. კუხალეიშვილი და ა. მინჯია.

არჩევნებთან დაკავშირებით ფართო სპორტული ღონისძიებები ტარდება აჭარაშიც. ამის შესახებ ბათუმიდან გვაცნობებს ამხ. შ. ბაჯელიძე. ეწყობა სოფლის ახალგაზრდობის საჭადრაკო ტურნირი, რაიონების პირველობები სათხილამურო სპორტში. ჩატარდა საჩვენებელი სპორტული საღამო ბათუმში.

ამჟამად გაცხოველებული მზადება სწარმოებს აჭარის დიდი ვარსკვლავისებური ამანათრბენის ჩასატარებლად. ფიზკულტურელები მშთ კომპლექსის ზამთრის სახეების ნორმების ჩაბარებით შეხვდებიან არჩევნების დღეს!

ნებაყოფლობითი საზოგადოება „კრასნაია ზნამიას“ ადგილობრივი კოლექტივის ნაყოფიერ წინასაარჩევნო საქმიანობაზე მოგვითხრობს თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ამხ. ა. გელაშვილი. იგი გვწერს, რომ ამას წინათ აქ მოეწყო ქვეითად ლაშქრობა მარშრუტით თელავი-ცივი.

სამკილომეტრიან კროსში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 32 ახალგაზრდა; 16 კაცის მონაწილეობით გათამაშდა საფაბრიკო პირველობა შაშში.

ამ დღეებში ზესტაფონში შეიკრიბნენ რაიონის სკოლებისა და ტექნიკუმების ფიზკულტურის მასწავლებლები. არჩევნებთან დაკავშირებით ფიზკულტურელთა ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა სპორტსკოლის დირექტორი ამხ. ბ. ჩანთაძე. ფიზკულტურის მასწავლებლები და აქტივისტი სპორტსმენები გავიდნენ საარჩევნო უბნებში და ფართოდ გაშალეს წინასაარჩევნო აგიტაცია.

—ამ საქმიანობას, — გვწერს ზესტაფონიდან ამხ. კ. ფოცხვერაშვილი,— რაიონში აწარმოებს 30 აქტივისტი და ფიზკულტურის საგნის 39 პედაგოგი. სოფელ შროშის, პირველი, მეორე სვირისა და საზანოს ამომრჩევლები მეტად კმაყოფილნი არიან აგიტატორების დ. გველესიანის, ნ. ცხადაძის, ნ. ხიდაშელისა და დ. კვეტენაძის საუბრებით. მათ კოლმეურნეებს გააცნეს საარჩევნო დებულება, სტალინური კონსტიტუცია და აგრეთვე ესაუბრნენ თემაზე „საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა“.

12 მარტს ქალაქის თეატრში გაიმართება არჩევნების დღისადმი მიძღვნილი დიდი სპორტული საღამო, რომლის წარმატებით ჩატარებისათვის ზესტაფონელი ფიზკულტურელები ამთავითვე შეუდგნენ მზადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ ვივარჯიშოთ ორფუთიანი საწონებით



## სოფლის ძალოსანთა კონკურსის წინ

★

ძალოსანთა კონკურსისათვის კარგი მომზადებისა და მაღალი მაჩვენებლების გამოსამჟღავნებლად საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

1. სიმძიმეებზე სისტემატური ვარჯიში, კვირაში ორჯერ ან სამჯერ, ისე რომ ვარჯიშიდან ვარჯიშამდე თანაბარი დრო დარჩეს.

2. წვრთნა სასურველია საღამოს საათებში, ისე, რომ საჭმლის მიღების შემდეგ 3 საათმა გაიაროს.

3. ვარჯიში სიმძიმეების აწევაში არ უნდა აღემატებოდეს 1–2 საათს.

4. სიმძიმეების აწევისათვის ორგანიზმის მოსამზადებლად საჭიროა გამახურებელი ვარჯიშების ჩატარება, რომელიც დიდი დატვირთვისათვის მოამზადებს ხელების, ფეხების და წელის კუნთებს, სასუნთქ და სისხლის მიმოქცევის ორგანოებს.

მხოლოდ ყოველივე ამის შემდეგ შეიძლება ვარჯიში ერთი ორფუთიანი საწონით.

ორფუთიანი საწონის აწევა შემდეგნაირად სრულდება: მოვარჯიშე დგება საწონთან ისე, რომ მისი ტერფები გაშლილია (ან გადადგმულია) დაახლოვებით მხრების სიგანეზე. შემდეგ ძალოსანი ჩაიკეცება მუხლებში, მოიხრება წელში, ერთ ხელს მოჰკიდებს საწონს და მეორე, თავისუფალი ხელით კი დაეყრდნობა ბარძაყს. ეს ძალოსნის საწყისი მდგომარეობაა (იხ. სურათი 1).

ატაცი ერთი ხელით. საწყის მდგომარეობიდან მოძრაობის შესრულება იწყება მუხლების მიერ საწონის ამოწევით, თავისუფალი ხელის დაწოლით ბარძაყზე და მუხლების თანდათანობით გასწორებით (იხ. სურათი 2.). მაშინ, როდესაც საწონი გაუთანასწორდება მუხლს, მოძრაობაში ჩაერთვება ხელი, რომელიც სწევს რა საწონს, იღუნება იდაყვის სახსარში, წელი კი ამ დროს გაიმართება და გაიშლება. ძირითადად აქ იწყება ატაცი — წელის ბიძგით და ხელის სწრაფი მოძრაობით საწონი აიწევა მაღლა და იმ მომენტში, როდესაც ხელი უნდა გასწორდეს, მოვარჯიშე მას ატრიალებს ისე, რომ ხელის გული წინ ტრიალდება და საწონი კი მოვარჯიშის მხარეს რჩება. თავისუფალი ხელი წონასწორობისათვის მოვარჯიშეს გააქვს განზე (იხ. სურათი 4).

ამით მთავრდება ცალი ხელით ერთი ორფუთიანი საწონის ატაცი.

ზეაწეულ ორფუთიან საწონს ორი წამის შემდეგ ძალოსანი დაბლა უშვებს იდაყვის სახსარში ხელის მოღუნვით ისე, რომ დაშვებული საწონი არ უნდა დაეჯახოს იატაკს. წესის მიხედვით მოძრაობა მეორდება მანამ, სანამ ძალოსანს შესწევს ღონე ამ მოძრაობის შესრულებისათვის.

**სუნთქვა.** ძალოსნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სუნთქვას. ჰაერის ჩასუნთქვა უნდა მოხდეს ცხვირით საწონის აწევის დროს, ხოლო ამოსუნთქვა — პირით. მეცადინეობისას სასურველია, რომ დატვირთვა მიეცეს ჯერ ერთ ხელს, მერე მეორეს. თითო ვარჯიში უნდა შესრულდეს 3–5 ჯერ რამდენიმე წუთის შესვენებით. შესვენების დროს საჭიროა სიარული, რომ ამით მოდუნდეს ის კუნთები, რომლებიც მუშაობდნენ.

**როგორ ავწიოთ ორი ორფუთიანი საწონი.** ძალოსანი დგამს ფეხებს ორ ორფუთიან საწონთან მხრების სიგანეზე. საწონები ერთმანეთის გვერდით ისე უნდა დაიწყოს, რომ მათი ყურები პარალელურად იყვნენ მიმართული ძალოსნისაკენ. ძალოსანი მუხლებში იხრება იქამდე, სანამ მისი ხელები საწონების ყურებს დასწვდება, შემდეგ ძალოსანი იღებს საწყის მდგომარეობას, რომლიდანაც იწყება საწონების აწევა (იხ. სურათი 1).

საწყის მდგომარეობიდან ორივე საწონის ამოწევა მუხლებამდე ფეხების ხარჯზე ხდება, შემდეგ მოძრაობას იწყებს ხელები და წელი; ხელები იხრება იდაყვის სახსრებში, წელი კი იშლება. საწონები ძალოსანს ამოაქვს მკერდამდე ისე, რომ იდაყვები საწონებზე ზევით არის ამოწეული, რის შემდეგ იდაყვები ტრიალდება ქვევით და საწონები მხრის გარეთ ექცევა (სურათი 3, 4, 5). წესისამებრ საწონების დადება მხრებზე და ხელებზე აკრძალულია; ისინი უნდა იყვნენ გარედან დაკიდული ძალოსნის ხელებზე.

ამ მომენტიდან ძალოსანს შეუძლია სურვილისამებრ ასწიოს ორივე საწონი მაღლა გამართულ ხელებზე. მე–6 და მე–7 სურათებზე ნაჩვენებია ორი ორფუთიანი საწონის აჰიმვა.

ეს მოძრაობა შეუძლია შეასრულოს საკმაოდ ღონიერმა კაცმა, ნაკლებად ღონიერმა კი ორი ხელით უნდა აჰკრას ორივე ორფუთიანი საწონი. ამისათვის საჭიროა ძალოსანმა ოდნავ მოღუნოს მუხლები და ჩაჯდეს. შემდეგ მუხლებისა და მთელი ტანის სწრაფი გასწორებით და ხელების ბიძგით ასწიოს საწონები გამართულ ხელებზე ზევით. წესის თანახმად, ძალოსანმა მხრიდან რაც შეიძლება მეტჯერ უნდა ასწიოს საწონები. ამრიგად ვარჯიშიც ასე უნდა დავგეგმოთ.

თუ ძალოსნისათვის ორი ორფუთიანი საწონის აღება ძნელია, მან უნდა ივარჯიშოს თითოფუთიან საწონზე, შეისწავლოს მოძრაობის შესრულება და ამის შემდეგ დაიწყოს ვარჯიში ორფუთიან საწონებზე.

პირველი მეცადინეობის შემდეგ მოსალოდნელია კუნთების ტკივილი. ამას ძალოსანმა ყურადღება არ უნდა მიაქციოს, რადგან წესიერი ვარჯიშით იგი თანდათანობით შეუმჩნევლად გაივლის.

**ქ. ზაუტაშვილი,**
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

კინოგრამა-ნახატი გ. ფორჩულიანისა.

## სოფლის ძალოსანთა კონკურსი

სოფლად ძალოსნური სპორტის განვითარების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სოფლის ძალოსანთა პირველი საკავშირო კონკურსის ჩატარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკურმა კომიტეტმა შეიმუშავა გეგმა, რის საფუძველზეც მიმდინარე წლის 15 მარტამდე უნდა ჩატარდეს ძალოსანთა შესარჩევი რაიონული კონკურსები. რესპუბლიკური კონკურსი ჩატარდება 1950 წლის 1–2 აპრილს ქალაქ თბილისში.

რესპუბლიკური კონკურსის ჩასატარებლად დამტკიცებულია კომისია მ. კასიანიკის (თავმჯდომარე), ქ. ზაუტაშვილის, მ. ქღენტის, პ. გუმაშვილის და ა. კობიაშვილის შემადგენლობით.

ძალოსანთა რესპუბლიკური კონკურსის ჩასატარებლად ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დამტკიცა დებულება. კონკურსზე დაიშვებიან ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერი მამაკაცები 17-დან 50-წლის ასაკში. კონკურსში მონაწილენი იყოფიან 4 წონით კატეგორიად: 1. უმჩატესი წონა (60 კილოგრამამდე ჩათვლით); 2. მსუბუქი წონა (60-დან — 70 კგ. ჩათვლით); 3. საშუალო წონა (70-დან — 80 კგ. ჩათვლით); 4. მძიმე წონა (80 კგ. და ზევით).

კონკურსის პროგრამაშია ვარჯიში ორფუთიანი საწონით და შტანგით.

თვითეულ მოძრაობაზე მონაწილეს ეძლევა 5 მისვლა. შეჯიბრება ტარდება ყოველი წონითი კატეგორიისათვის ცალკე. პირველ ეტაპზე თუ ორი ან მეტი მონაწილე დააგროვებს ქულათა ერთნაირ რაოდენობას, უპირატესობა ეძლევა მას, ვინც საწონებით მეორე ვარჯიშს მეტჯერ შეასრულებს.

გამარჯვებულად მეორე და შემდგომ ეტაპებზე წონით კატეგორიაში ითვლება ის მონაწილე, რომელიც მოაგროვებს ქულათა მეტ რაოდენობას ყველა ვარჯიშში შეფასების შედეგის ცხრილის მიხედვით.

კონკურსში გამარჯვებული პირველი სამი ძალოსანი ჯილდოვდება ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის სიგელით.

# მძლეოსნის წვრთნა ზამთარში

• • •

## მწვრთნელის რჩევა-დარიგება

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მძლეოსანთა გამოცდილება ნათლად ადასტურებს, რომ სრულწლიური წვრთნის გარეშე შეუძლებელია სპორტული ოსტატობის მაღალი საფეხურების მიღწევა.

ცდება ვინც ფიქრობს, რომ თითქოს სპორტის სახეების მიხედვით წვრთნაც სეზონურ ხასიათს უნდა ატარებდეს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ზოგიერთი სპორტსმენი სეზონის მოახლოვებამდე არაფერს აკეთებს, ან უკეთეს შემთხვევაში, ზამთარში თხილამურებით ერთობა, გაზაფხულზე — მძლეოსნობით, ზაფხულში—წყალჯომარდობით... დროის, ყურადღებისა და ენერგიის ასეთი გაფანტვა ძლიერ ზღუდავს სპორტული სპეციალობისათვის საჭირო სპეციფიური თვისებებისა და ჩვევების გამომუშავებასა და გეგმაზომიან განვითარებას.

არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენ აქ ვქადაგებდეთ სპორტის ცალკეული სახეების ვარჯიშებით ვიწროდ შემოფარგვლას. ყოველი სპორტსმენის, კერძოდ მძლეოსნის საწვრთნელი მუშაობა ფართო და მრავალმხრივი უნდა იყოს. მისი წვრთნის საშუალებანი უნდა ემყარებოდეს მთ კომპლექსს და იყენებდეს სპორტის როგორც ზემოჩამოთვლილ, ისე სხვა სახეთა ვარჯიშებსაც. ამავე დროს, მძლეოსანს უნდა ახსოვდეს, რომ მეცადინეობა კალათბურთში, ტანვარჯიშში, თხილამურებში და სხვა სახეში წვრთნის დამხმარე საშუალებას წარმოადგენს (ასევე, კალათბურთელმა ან ტანმოვარჯიშემ მძლეოსნური ვარჯიშები თავისი ძირითადი ამოცანების განხორციელებას უნდა მოახმაროს).

მძლეოსნის სრულწლიური წვრთნა შემდეგ სამ პერიოდად იყოფა: 1. მოსამზადებელი, 2. ძირითადი და 3. გარდამავალი.

საქართველოს პირობებში მოსამზადებელი პერიოდი 15 დეკემბრიდან 15 აპრილამდე გრძელდება და იგი თავის მხრივ კიდევ ორ ქვეპერიოდად ნაწილდება: პირველი ქვეპერიოდია ე. წ. საზამთრო წვრთნა (15 დეკემბრიდან 1-ლ მარტამდე), მეორე—ე. წ. საგაზაფხულო (1 მარტიდან 15 აპრილამდე).

ჩვენი მიზანია საზამთრო წვრთნის განხილვა. ამ დროს მძლეოსნის ამოცანები შემდეგია: ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება, ფსიქოფიზიკური თვისებების (ძალა, გამბედაობა, სისწრაფე, მოქნილობა და სხვ.) სრულქმნა და განვითარება, სპორტული ტექნიკის დამუშავება და სრულყოფა.

ამ ამოცანების განსახორციელებლად შემდეგი საშუალებანი გამოიყენება: 1. საერთო განმავითარებელი ვარჯიშები იარაღებით და უიარაღოთ (ტანვარჯიშული ჯოხები, ქვიშიანი ტომრები, დატენილი ბურთები და სხვ.), 2. მძლეოსნობის ცალკეულ სახესხვაობათათვის საჭირო ფსიქოფიზიკური თვისებების გასავითარებელი სპეციალური ვარჯიშები (სწრაფი რბენა მოკლე ნაბიჯებით, მუხლის მაღალი აწევით და სხვ.), 3. სხვადასხვა ვარჯიშები იარაღებზე (ორძელი, ძელი, ტანვარჯიშული კედელი, რგოლები და სხვ.), 4 ვარჯიში შტანგით, საწონებით (გირებით), ფეხებზე დაკიდებული სიმძიმეებით და სხვ., 5. ნელი და აჩქარებული რბენა (სამეცადინო ადგილთან შეფარდებით), რბენა დაბალი საწყისიდან (სტარტიდან), თარჯრბენი, სამმაგი და ხუთმაგი ხტომები, ხტომები ცალ და ორთავ ფეხზე უბრალოდ და გართულებით (ადგილიდან, სხეულის ბრუნებით და სხვ.), სხვადასხვაგვარი ხტომები დამძიმებით (ტვირთით, ორბირთვით, სპეციალური მძიმე სარტყელით), სიგრძეზე და სიმაღლეზე გამორბენით ხტომები სხვადასხვა ყაიდით, ხტომები დრეკაბოგის, ტაიქის, ხარიხის, მაგიდის გამოყენებით, 7. დატენილი ბურთებისა და ქვიშიანი ტომრების სხვადასხვა ხერხით ტყორცნა და დაჭერა ცალი ან ორი ხელით სხეულის სხვადასხვა საწყის მდგომარეობიდან, მძლეოსნური იარაღების (ბადრო, ბირთვი და სხვ.) ტყორცნა სპეციალურ ბადეში, 8. კალათბურთისა და ლელობურთის მსგავსი თამაშობანი, 9 სიარული და ნელი ან საშუალო ტემპით რბენა გარეთ, 10. თხილამურებზე სიარული დასერილ მიდამოებში და სხვ.

ჩამოთვლილი ვარჯიშები არ ამოსწურავენ მძლეოსნის საზამთრო წვრთნის საშუალებებს. მეცადინეობის ადგილისა და ჯგუფის მომზადების დონის მიხედვით ისინი საგრძნობლად შეიძლება გაფართოვდნენ, გაღრმავდნენ, ან შეიცვალონ.

**ა. ქარციძაძე**
(დასასრული იქნება)

# ფეხბურთელთა მომავალი თაობის აღმზრდელი



თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძე ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით სამუშაოდ გადაყვანილია თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლაში, სადაც იგი ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა კადრების მომზადებას.

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივმა თავისი სპეციალური კრებით გულთბილი გაცილება მოუწყო ა. კიკნაძეს.

14 წლის ასაკიდან დაიწყო ა. კიკნაძემ სპორტში მეცადინეობა. ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი ინსტიტუტის გუნდიდან 1937 წელს გადაყვანილი იქნა თბილისის „დინამოში". მალე იგი ჩაირიცხა გუნდის ძირითად შემადგენლობაში და დაიმსახურა ამხანაგებისა და მაყურებლების სიყვარული და პატივისცემა.

დიდი ცოდნა, მტკიცე ნებისყოფა, ბოლშევიკური თავმდაბლობა — აი ამხ. კიკნაძის დამახასიათებელი თვისებები. სპორტულ შეჯიბრებებში აქტიურ მონაწილეობასთან ერთად ამხ. კიკნაძემ 1940 წელს წარმატებით დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ-მშენებლის წოდება. აქტიური კომკავშირელი ამხ. კიკნაძე 1945 წელს მიღებულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად.

კრებაზე განსაკუთრებით აღინიშნა ამხ. კიკნაძის, როგორც გუნდის წევრის როლი სსრ კავშირის პირველობისა და სსრ კავშირის თასის გათამაშებებში, სადაც იგი მუდამ უჩვენებდა ტექნიკის, ტაქტიკური ხელოვნებისა და დისციპლინიანობის უბადლო მაგალითებს. დამახასიათებელია, რომ თამაშებში მონაწილეობის 13 წლის მანძილზე დინამოელ კიკნაძეს არც ერთხელ არ მიუღია მსაჯისაგან გაფრთხილება ან წინადადება, იგი არასდროს არ გაუძევებიათ მინდვრიდან. ყოველ საფეხბურთო შეხვედრაში ამხ. კიკნაძე ამჟღავნებდა მაღალ მორალურ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელია საბჭოთა ფეხბურთის სკოლის მოწინავე წარმომადგენლებისათვის. პარტიის, სოციალისტური სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით მონაწილეობდა იგი უცხოეთის ქვეყნების ფეხბურთის გუნდებთან შეხვედრებში და თავისი თავდადებული თამაშით ხელს უწყობდა გუნდის სპორტული პრესტიჟის ზრდას. განსაკუთრებით დიდი და სასარგებლო შრომა გასწია ამხ. კიკნაძემ გასულ წელს, როცა ის კოლექტივის ნებასურვილით არჩეულ იქნა გუნდის კაპიტნად.

„დინამოს" საქართველოს საბჭოს ბრძანებით ამხ. ა. კიკნაძეს მრავალი წლის მანძილზე აქტიური, უმწიკვლო მუშაობისათვის გამოეცხადა მადლობა და იგი დაჯილდოებულ იქნა საპატიო სიგელითა და ძვირფასი სამახსოვრო საჩუქრით — ვერცხლის თასით.

თბილისის დინამოელ ფეხბურთელთა კოლექტივმა ამხ. კიკნაძეს მიართვა მხატვრულად გაფორმებული ადრესი.

ასე აღინიშნა ამხ. კიკნაძის, როგორც გუნდის წევრისა და კაპიტნის დიდი და სახელოვანი მუშაობის დასასრული და მისი შემოქმედებითი პედაგოგიურ-სპორტული მოღვაწეობის დაწყება.

„დინამოს" საქართველოს საბჭო და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ამხ. კიკნაძე, რომელსაც დაევალა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — ფეხბურთელთა ახალგაზრდა კადრების მომზადება, პირნათლად შეასრულებს თავის მოვალეობას, შეასრულებს ისე, როგორც შეშვენის ბოლშევიკ-დინამოელს.

**ა. სოკოლოვი,**
**გ. პაიჭაძე,**
სპორტის დამსახურებული ოსტატები.




## კოლმეურნე მეთხილამურეთა შეჯიბრება

ბაკურიანი. (ჩვენი სპეც. კორ.). 5 თებერვალს აქ დამთავრდა კოლმეურნე ახალგაზრდობის მეხუთე რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრება სათხილამურო სპორტში.

8 თებერვალს, შეჯიბრების მესამე დღეს, კოლმეურნე მეთხილამურეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 45-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომებში. საუკეთესო შედეგი აჩვენა ბორჯომის რაიონის I გუნდის წარმომადგენელმა ა. ადამიანცმა. მისი ორი ნახტომის შედეგია 82 მეტრი (41+41). შესვენების შემდეგ ნიჭიერმა მეთხილამურემ 2 მეტრით გააუმჯობესა თავისი შედეგი — იგი გადახტა 43 მეტრზე, რაც საქართველოს მეთხილამურეთა საუკეთესო მიღწევას წარმოადგენს აღნიშნული ტრამპლინისათვის (ბაკურიანის 45-მეტრიანი ტრამპლინის რეკორდია 47 მეტრი. იგი დაამყარა ლენინგრადელმა სპორტის ოსტატმა მ. ტურკოვმა მიმდინარე წლის 8 იანვარს). მეორე ადგილზე გამოვიდა ბაკურიანელი ი. ჯანგობეკოვი, მესამე ადგილი დარჩა 14 წლის ნიჭიერ ბაკურიანელ ზ. თვაურს.

შეჯიბრების მეოთხე დღეს ჩატარდა მარულა მამაკაცთათვის 30 კილომეტრზე და ქალთათვის 10 კილომეტრზე.

მამაკაცთა მარულაში ყველას აჯობა ბორჯომის რაიონის I გუნდის წარმომადგენელმა ვ. ფანჯაკიძემ, რომელმაც მანძილი გაიარა 2 საათსა, 39 წუთსა და 12 წამში. ახალგაზრდა ბაკურიანელმა მეთხილამურემ ვ. კვინიკაძემ აჩვენა 2 საათი, 44 წუთი და 18 წამი და მეორე ადგილი დაიკავა.

ქალთა შორის საუკეთესო დრო ჰქონდა ვ. დიაკონაშვილს (ბორჯომის რაიონის 1 გუნდი)— 59 წუთი, 40 წამი. ფინიშთან მეორე მივიდა ნ. გავა (ბორჯომის რაიონის II გუნდი) — 1 საათი, 7 წუთი და 38 წამი.

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს ჩატარდა შეჯიბრება სლალომში. როგორც მოსალოდნელი იყო, გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის 1949 წლის ჩემპიონმა კოლმეურნე მეთხილამურეთა შორის პ. კოზანაშვილმა (ბორჯომის რაიონის I გუნდი). მისი ორი ცდის შედეგია 1 წუთი და 14,4 წამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ფანჯაკიძე (ბორჯომის რაიონის 1 გუნდი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი მიენიჭა ბორჯომის რაიონის მეთხილამურეთა I გუნდს (20 ქულა), მეორე ადგილი დაიკავა ბორჯომის რაიონის II გუნდმა (33,5 ქულა), მესამე ადგილი — სამხრეთ ოსეთის კოლექტივმა (45 ქულა).

გამარჯვებულ გუნდებსა და მეთხილამურეებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის სიგელები.

მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი ა. მჟავანაძე) შეჯიბრება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაატარა.

**დ. გულისაშვილი**

**სურათზე:** ბაკურიანის 70-მეტრიანი ტრამპლინის საერთო ხედი:
ფოტო შ. შიოშვილისა

## ჭადრაკი

თეთრები: **პ. დუბინინი**
შავები: **მ. ბოტვინიკი**
(საბჭოთა კავშირის XI პირველობა. 1939 წ.)

1. ე2-ე4 ე7-ე5; 2. რჟ1-ფ3 რბ8-ც6; 3. კფ1-ბ5 ა7-ა6; 4. კბ5-ა4 რჟ8-ფ6; 5. 0-0 კფ8-ე7; 6. ტფ1-ე1 ბ7-ბ5; 7. კა4-ბ3 დ7-დ6; 8. ც2-ც3 0-0; 9. დ2-დ3 რც6-ა5; 10. კბ3-ც2 ც7-ც5; 11. რბ1-დ2 ლდ8-ც7; 12. რდ2-ფ1 ჰ7-ჰ6!; 13. ჰ2-ჰ3 კც8-ე6; 14. რფ1-ე3 ტა8-დ8; 15 რე3-ფ5? კე6:ფ5; 16. ე4-ფ5 რა5-ც6; 17. დ3-დ4; ე5-დ4; 18. ც3:დ4 დ6-დ5!; 19. კც1-ე3 ტფ8-ე8; 20. ტა1-ც1 ც5-ც4; 21. ჟ2-ჟ4 რფ6-ე4; 22. კც2-ბ1 კე7-დ6; 23. რფ3-ჰ4 კდ6-ფ4; 24. ლდ1-ფ3 კფ4-ჟ5; 25. რჰ4-ჟ2 კჟ5:ე3; 26. ლფ3:ე3 ტე8-ე7; 27. ლე3-ფ4? რც6:დ4!; 28. ლფ4:ც7? რდ4-ფ3; 29. ჟ1-ფ1 რე4-დ2×.



საბოლოო პოზიცია.

## სსრ კავშირის პირველობა რუსულ ჰოკეიში

ლენინგრადში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება რუსულ ჰოკეიში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, პეტროზავოდსკის, რიგის, კალინინგრადისა და სხვა ქალაქების 16 უძლიერესი გუნდი.

—o—

## ძალოსანთა მატჩი

11 და 12 თებერვალს „დინამოს“ საპორტო დარბაზში (ბესიკის ქ. № 4) შედგება საქართველოს უძლიერეს ძალოსანთა სამატჩო შეხვედრები. მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ჩემპიონი სპორტის ოსტატი ვ. სვეტილკო, სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი სპორტის ოსტატი მ. ჟღენტი, სსრ კავშირის რეკორდსმენი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. კასიანიკი, სპორტის ოსტატები დ. კაპცოვი, გ. კოშაძე, შ. წივწივაძე, ა. ბარამელაშვილი და სხვ.

—o—

## ლექცია ფეხბურთზე

ამას წინათ პოლიტიკური და სამეცნიერო ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მასწავლებელთა სახლში ჩაატარა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. სოკოლოვის ლექცია თემაზე: „ფეხბურთი და მისი შემდგომი განვითარების გზები.“

ლექციამ დამსწრეთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

## მიხეილ კაკაბაძე




### 1

ქარს თითქოს ფრთები მოჰკვეთეს: უკანასკნელად შეჰკრა კამარა და მერე, სადღაც ხევში ჰპოვა თავშესაფარი.

ირგვლივ მთები წვანან და ნაღმებისაგან ტოტებდალეწილი ხეები არჭვია მაღალ თოვლში სატევრებივით. კანტიკუნტად ისმის სროლის ხმა. დროგამოშვებით მძიმე ყუმბარა ეძგერება მიწას და გუგუნებენ ხევები. ასე მგონია, ბოხი ხმით გასძახიან ისინი ერთმანეთს თავიანთ გულისწყრომას.

თოვს...

ფიფქებთან ერთად ბინდი ეფინება მიდამოს. მიწურის საკვამურიდან ამოდის კვამლი და მწევარივით მიწაზე გართხმული მიიკლაკნება.

გავცქერი არემარეს და მაგონდება პოეტის სიტყვები:

„მთები... მთები...
ბუმბერაზთა საშინელი მხედრობა“...

შხუილით გადიარა ნაღმმა და მოშორებით ჩაიჩეხა. მერე ტყვიამფრქვევის მოკლე ჯერი დაიცალა და ერთხანს სიწყნარე ჩამოწვა.

ფიქრში წასულს ფიფქების შრიალი მესმის: ომში ფიქრიც ფხიზელი აქვს ადამიანს.

დეკემბრის პირველი რიცხვებია. 1942 წელი.

კავკასიონი...

ბრძოლები უღელტეხილისათვის, ბრძოლები მწვერვალებისათვის, მძიმე ბრძოლები.

ჩვენი ნაწილი ორ თვეზე მეტია ამ უსახელო მწვერვალსა და მის მიდამოებს იცავს. მტრისაგან პატარა მდინარე გვყოფს.

ზურგიდან ვიღაც მიახლოვდება. მივიხედე. ჩვენი ათასეულის სახელგანთქმული მზვერავი მიშა სმირნოვი დინჯი ნაბიჯით მოჰყვება ბილიკს. მისი მაღალი სხეული ოდნავ მოხრილია, განიერი მხარ-ბეჭი ძლივს ეტევა თბილ ქურქში.



ნახატი გ. ჩირინაშვილისა

* * *

ეშმაკურად მიღიმის და მეუბნება:

— ძველ ნაცნობებთან მივდივარ, ამხანაგო ლეიტენანტო.

— გზა მშვიდობისა, — ვეუბნები და მაგრად ვართმევთ ერთმანეთს ხელს.

ნაღმებით სავსე ყუთები მიაქვთ ჯარისკაცებს მდინარისაკენ, იქ, სადაც ჩვენი სანგრებია და საცეცხლე პოზიციები. „სალამი, ჩემპიონო!“ მიმართავენ ისინი სმირნოვს. ჩაიარეს...

მიშა ავტომატსა და ხელყუმბარებს ისწორებს და მშორდება.

მიდამო თანდათან მუქდება. ერთხანს ვუმზერ მიმავალ ჯარისკაცს. იგი ნელ-ნელა ითქვიფება დათოვლილ ბინდში, მერე მარცხნივ უხვევს და მეფარება თვალთაგან.

### 2

შხუილით ავარდა მაშხალა და გათენდა თითქოს... გერმანელები ანათებენ წინახაზს.

ჰაერში გამუდმებით ზუზუნებს მტრის თვითმფრინავი — ორფუზელაჟიანი „ფოკე-ვულფ“. აიხედავ ზევით და თვალებს გჭრის უილაჯო მზის სხივებზე მისი ფრთების ბრჭყვიალი.

ამ დღეებში მძაფრი ბრძოლები გვქონდა. მტერმა ახალი ძალები მოიტანა, ფლანგებიდან შემოგვიტია. ერთდროულად უღელტეხილზე მოიტანა იერიში.

მოვიგერიეთ!

დღეს სიწყნარეა. სანგრებში ტალახად ქცეულა თოვლი. დაზგისა და ხელის ტყვიამფრქვევებთან ძინავთ დაქანცულ მებრძოლებს. მათ სიმშვიდეს მეთვალყურეები იცავენ. აქა-იქ ყრია გერმანელთა გაუმსკდარი ნაღმები.

ჩავდივარ მიწურში, სადაც მზვერავები ცხოვრობენ. ბუხარში გაბმულად სტვენს სველი კუნძი და მიწაზე დაფენილ თივაში შარიშურობს რაღაც. კედელზე კალენდარია გაკრული: „10 დეკემბერი“.

ბუხართან სერჟანტი მაქსიმოვი ზის, მუხლებზე პლანშეტი უდევს, მასზე რვეული გაუშლია და წერს. დამინახა, სწრაფად წამოდგა და მომესალმა:

— მობრძანდით, ამხანაგო ლეიტენანტო, ცეცხლთან დაბრძანდით, აი აქ...

კუნძი ლადარის სიმხურვალით გაფიცხდა და ერთბაშად აინთო. კედელზე ჩრდილები აფორიაქდნენ.

ჩემი მზერა უნებლიეთ რვეულზე შეჩერდა. „დღიურს წერს“, გამიელვა თავში და მაქსიმოვს შევხედე: მის თვალებში ნაღველი ამოვიკითხე. მან შეამჩნია, რვეულს რომ მოვკარი თვალი. არ შემკრთალა. პირიქით, მანიშნა, წაიკითხეთო...

„10 დეკემბერი.

მეხუთე დღეა, რაც მიშა დაზვერვაში წავიდა. დავალება რთული ჰქონდა, მაგრამ გათენებამდე უნდა დაბრუნებულიყო. ნეტავ, რა შეემთხვა?..“

სტრიქონებმა დამაფიქრა. თვალწინ წარმომიდგა ახოვანი ვაჟკაცი — ნაწილის საუკეთესო მზვერავი.

ბუხრის ცეცხლი მკრთალად ანათებს მიწურს. კუთხეში, სადაც თივაზე ისვენებდა ხოლმე სმირნოვი, თვალი მოვკარი ძელზე ლამაზებივით დაკიდულ მოკრივის ხელთათმანებს. არ გამკვირვებია: სმირნოვი საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი იყო მძიმე წონაში.

—თქვენ იცით, ამხანაგო ლეიტენანტო, ძმებივით ვიყავით მე და მიშა,— ამბობს მაქსიმოვი, — ნუთუ რაიმე ხიფათს გადაეყარა!.. რატომღაც მგონია, რომ მას ცუდი არასოდეს შეემთხვევა. ის ხომ დაზვერვაშიც საზრიანია, ღონიერი, მამაცი...—და მიამბო ცოტა რამ სმირნოვის წარსულიდან.

ამ ათიოდე წლის წინათ სმირნოვი გერმანელ მოკრივეებს შეხვედრია, მათი რჩეული ფალავნები დაუმარცხებია. მაშინ გაუცვნიათ მიშა არიელ სპორტსმენებს.

ეს ახალი ამბავი იყო ჩემთვის. მომაგონდა სმირნოვის სიტყვები: „ძველ ნაცნობებთან მივდივარ, ამხანაგო ლეიტენანტო“.

რაღაც არასასიამოვნო გრძნობა მიპყრობდა — სმირნოვის დაგვიანება არ იყო კარგი ნიშანი. ალბათ ამასვე გრძნობდა მაქსიმოვიც, მაგრამ ჩვენს შიშს ერთმანეთს ვერ ვუზიარებდით.

### 3

იგი შენიშნეს. ტყვიამ წუილით გასერა ჰაერი და თოვლში შეძვრა. სმირნოვი გაინაბა. ხელი ფრთხილად წაიღო ქამრისაკენ — იარაღის სათადარიგო დისკი და ხელყუმბარები მოსინჯა: ყველაფერი რიგზეა. ღრმა თოვლში გაწოლილმა მიდამო მოათვალიერა: მკრთალი მზე ველზე აცურებს გახუნებულ სხივებს.

წამს საშინელმა სიწყნარემ დაისადგურა. კარგს არას მოასწავებს მტრის ასეთი დუმილი. ეს იცის მზვერავმა. მის გონებაში ქარისაგან გადაშლილი წიგნის ფურცლებივით რბიან ფიქრები: „წინ გორაკი ძევს. ეს კარგია—ფენილი ცეცხლისაგან მიცავს. მაგრამ მათ ხომ შეუძლიათ მარჯვნივ ხევში გავიდნენ და იქიდანაც შემომიტიონ, გზა გადამიჭრან. მარცხნივ უფსკრულია. ესეც კარგია—უკიდურეს შემთხვევისათვის“...

წევს. მკერდთან ავტომატი უდევს, ფიქრობს: „აი ახლა, ზევით, იმ მომცრო მთაზე მტერი ჩახმახივითაა შემართული. ადგები ამხანაგო სმირნოვო და წამოვა ტყვიების თქეში... ასე იწვები და ზურგიდან მოგეპარება გერმანელი, არა, მოგეპარებიან, მთელი ასეული მოგეპარება და...“

უეცრად ნაღმმა გაიშხუილა და სმირნოვის უკან კარგა მოშორებით გასკდა: „აღმოაჩინეს მძიმე არტილერია“, ჩაიცინა მიშამ.

მის მიერ ზუსტად არის აღნუსხული მტრის საცეცხლე წერტები. ისე გაიტაცა ამ საქმიანობამ, რომ შეუმჩნევლად დაათენდა თავს. და აი ახლა იგი წევს დაბარდნილ მინდორზე კუნთივით შეკუმშული და მრისხანე, მტრის შენიშნული, მტკიცე გადაწყვეტილებით: მიიტანოს ნაწილში ცნობები.

მარჯვნიდან წამოუბერა ქარმა. რაღაც ხმაური ჩაეწვეთა ყურში მზვერავს, სმენა დაძაბა. „საჭიროა მოქმედება“, გაუელვა თავში და მწვრთნელის სახე დაუდგა თვალწინ. ძარღვებში ძალის ახალი ნაკადი იგრძნო. მწვრთნელი იმედით სავსე თვალებით მისჩერებოდა სმირნოვს, ოდნავ ეღიმებოდა. ასე იყო ყოველთვის: რინგზე მოქმედებისას მიშა წამით შეამჩნევდა ხოლმე პირველ რიგში მჯდარ მწვრთნელს, რომლის თვალები მოკრივეს ეუბნებოდნენ: „საჭიროა მოქმედება, შეტევა“.

მზვერავი უკან გაცოცდა, თავი წამოსწია ოდნავ. მთაზე აკაკანდნენ ხელის ტყვიამფრქვევები და ავტომატები... თანაც მარჯვნიდან უკვე მკაფიოდ მოისმა ლაპარაკი. სმირნოვი უეცრად წამოხტა, რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა და მოსხლეტით დაეცა. ტყვიების ხროვამ თავზე გადუარა წივილით. გონებას ერთი აზრი უბურღავდა: „მივიტანო ნაწილში ცნობები“.

ხოხვით დაჰფარა მცირე მანძილი. ხევამდე ათიოდე მეტრი იყო დარჩენილი. სწრაფად გამოაძრო რგოლი ხელყუმბარას, წამოიწია და ხევში ტყორცნა. ხელყუმბარის გასკდომა და მიშას ზეზე წამოვარდნა ერთი იყო. მთიდან გააბეს სროლა...

ხევში რომ ხტებოდა, რაღაც ჩხვლეტა იგრძნო მარცხენა მხარში, თანაც ხელი ჰკრესო თითქოს, ღრმა თოვლში გადავარდა. მყისვე წამოდგა. ხევში, სულ ახლოს, გერმანელები მორბოდნენ. ავტომატი მოიმარჯვა, მოკლე ჯერი დასცალა. უპასუხეს...

ერთი როგორღაც წინ აღემართა, კონდახის დარტყმა მოუნდომა. მიშამ წამს მარცხენა ხელში გადიტანა იარაღი, მარჯვენა სხარტად მოუქნია. მაგრამ ელვასავით მოქნეული ხელი შუა გზაზე დავარდა... ნაღმი ღმუილით დაეცა მიწას. წაიქცნენ სმირნოვი და ორი გერმანელი ჯარისკაცი.

„როგორმე ცნობები მაინც მიმეწვდინა ნაწილისათვის“ ინატრა მზვერავმა და გონება დაჰკარგა.

(დასასრული იქნება)

**პასუხისმგებელი რედაქტორი**
**მ. კაკაბაძე**

გაზეთი გამოდის პარასკეობით.
რედაქციის მისამართი: თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4.
ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14
ტირაჟი 15.000
უე 01385